№ 240
პარასკევი, 3 ნოემბერი, 1900 წ.

1877—1900

# ივერია

№ 240
პარასკევი, 3 ნოემბერი, 1900 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. კ. | თვე | მან. კ. |
|---|---|---|---|
| 12 . . . | 10 — | 6 . . . | 6 — |
| 11 . . . | 9 50 | 5 . . . | 5 50 |
| 10 . . . | 8 75 | 4 . . . | 4 75 |
| 9 . . . | 8 — | 3 . . . | 3 50 |
| 8 . . . | 7 25 | 2 . . . | 2 75 |
| 7 . . . | 6 50 | 1 . . . | 1 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია:
ნიკოლოოზის ქუჩა, 21.
ტფილისი.
**გაზეთის დასაბარებლად**
და განცხადებათა დასაბეჭდად
უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელარიას
**ფასი განცხადებისა:**
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზედ 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227.

## ქართული თეატრი

კვირას, 5 ნოემბერს,

ქართული დრამატიული საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

უკანასკნელად ამ სეზონში

I

### სამშობლო

ისტორ. დრამა 5 მოქ. თავ. დ. ერისთავისა.

II

### დედის ერთა

კომედ. 1 მოქ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი გაბუნია ცაგარლისა, ჩერქეზიშვილისა, კარგარეთელი, ნებიერიძისა, მდივანი, გარელი, კუნდელი; ბ-ნნი აბაშიძე, სვიმონიძე, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, კანდელაკი, ავალიანი, ურუშაძე, მირიანოვი და სხ.

ადგილების ფასი ჩვეულებრივია. **დასაწყისი 8 საათზედ.**

რეჟისორი **ვ. გუნია**

**მზადდება წარმოსადგენად სვ. სვიმონიძის საბენეფისოდ ახალი პიესა „ორი ბმირი", ეფ. მესხის საბახტოლოდ „ციხის საიდუმლო", „დენიზა" და სხვანი.**

## აბრეშუმის ქსოვილები

ქუთაისის გუბერნიის მეაბრეშუმეთა პირველ ამხანაგობისა.—**ცხვირსახოცები, შარფები**, თეთრი და ფერადი ქსოვილები **ქალისა და კაცის** ტანისამოსისათვის როგორც **საპირე**, ისე **სარჩულები**. იყიდება ქუთაისში, წერეთლის წიგნის მაღაზიაში თოფობითა და ნაჭრობით.

(50—ნ.—43) მმარ. ამხ. ნ. წერეთელი

## ტფილისის კერძო სამკურნალო

მკურნალის

მიხეილ გედევანიშვილისა

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე კვირა დღეების გარდა

**დილით:**

**ვ. ი. ჟიჟინაძე**—კბილის სნეულებანი, 8—10 საათ.

**მიხეილ გედევანიშვილი**—ნერვებისა და წამლობა ელექტრონით—9—10 საათ.

**ნ. ა. მულინი.** ყურისა, ყელისა და ცხვირისა—10—11 საათ.

**ი. პ. ახალშენიშვილი**—კბილის სნეულებანი. 10—2-მდის.

**ა. ნ. შატილოვი**—თვალისა 11—12 საათ.

**დ. ა. გედევანიშვილი**—ნერვებისა და შინაგანი. 12—1 საათ.

**მ. ბ. ბეზირგანოვი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ.

**ვ. ლ. მარკევიჩი,** სადოსტაქრო.—$12^1/_2$—$1^1/_2$ საათ. სამშაბათობით 3—4.

**ი. დ. ბებუთაგებოვი**—სიფილისისა, კანისა და საშარდესი—$1^1/_2$—2 საათ.

**საღამოთი:**

**ი. ნ. თუმანიშვილი**—დედათა სნეულებანი—5—6 საათ.

**ა. ა. ბელოგოლოვი**—შინაგანი და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი—5—6 საათ.

სამკურნალოს აქვს საწოლი ოთახები.

ფასი რჩევა-დარიგებისა 50 კაპ., ოპერაციები—მორიგებით. კრაოტი 4 მ. დღე და ღამეში. ერთი კრაოტი ღარიბთათვის უფასოა.

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21 (ვარანცოვის ძეგლის პირდაპირ).

ტელეფონი № 274.

დირექტორი სამკურნალოსი **მიხეილ გედევანიშვილი**

## პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

**გ. ა. ნავასარდიანი.** 11—12 საათ. სადოსტაქრო, ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

**ჟ. ე. ჩიქოვანი.** 9—10 სათ. სნეულებანი: თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასიანცი**—დილის 11—12 ს. ქალთა და ბავშვთა სენით ავადმყოფებს.

**ი. თ. პროტასევიჩი.** 12—1 ს. ყურისა, ყელისა, ცხვირისა და გულის ავადმყოფობისა.

**ა. პ. ქარაპეტიანცი.** 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა.

**საღამოობით:**

**ი. თ. პროტასევიჩი**—5—6 საათ.

**ა. ნ. შპაკოვსკი.**—6—7 საათ. ნერვებით ავადმყოფთ (ელექტროტერაპ). და ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ.

**გ. ა. თარხანოვი**—შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა, 7—8 ს.

**ბ. ა. ნავასარდიანი.** $7^1/_2$—8 საათ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური. ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

**ო. ტ. არვანიტაკი**—11—1 დღ. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს", აუცრის ყვავილს და გამართავს საექიმო გემნასტიკას ექიმის დანიშვნით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინასა ნავასარდიანი.

Первая частная лечебница—д-ра Навасардіана.

Тифлисъ, противъ памятн. Воронцову.

კვირას, 5 ნოემბერს,

ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის დარბაზში, დილის 11 საათზედ, მოხდება ქართულ-დრამატიულ საზოგადოების წევრთა

## საზოგადო კრება

კრების საგნებია:

1, ანგარიში საზოგადოების წარსული წლის მოქმედებისა და მომავალი წლის ხარჯთ-აღრიცხვა,

2, ანგარიში სარევიზიო კომისიისა,

3, გამგეობის მოხსენება ქართულ თეატრის შენობის იჯარით აღების შესახებ,

4, არჩევანი სარევიზიო კომისიის წევრთა,

5, არჩევანი საზოგადოების ახალ წევრთა. კრება შესდგება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

საჭიროა

### მოსამსახურე-ბიჭი

13—14 წლისა. იკითხონ „ივერიის" რედაქციაში, ნიკოლოზის ქ. № 21

(4—უ.—3)

## ახალი ამბავი

⁂ ოთხშაბათს, 1 ნოემბერს, სხდომა ჰქონდა ქალაქის გამგეობას ტფილისის პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელის ბ-ნის კოვალიოვისა და ქალაქის ტეხნიკოსების თანადასწრებით. გამგეობის წევრმა თავ. ჩერქეზიშვილმა წარადგინა განსახილველად წარსულ 8 ოქტომბრის დადგენილება განსაკუთრებულ კომისიისა, რომელსაც დავალებული აქვს ქალაქის ნაგვის საზიდ ურმების მოწყობა და ქალაქის საწმენდად განსაკუთრებული გარდასახადის შემოსაღებად წესის შემუშავება. კრებაზედ პოლიცმეისტრის თანამდებობის აღმასრულებელმა განაცხადა, რომ ვიდრე გამგეობა გარდასახადის შესახებ საკითხის გამორკვევას შეუდგება, საჭიროა ქალაქმა საცდელად რამდენჯერმე

## ფელეტონი

### ცხოველთა და მცენარეთა გაჩენა და გაშენება დედამიწაზედ

დღეს მეცნიერთა უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ ცხოველთა ყოველი ჯიში უნდა გაჩენილიყო ერთს და არა რამდენსამე ადგილას ქვეყნად. ის აზრი, რომ ვითომ შესაძლო ყოფილიყოს ერთგვარის ცხოველის გაჩენა თავის თავად, ერთი მეორის დამოუკიდებლად, დედამიწის სხვა-და-სხვა ადგილას, ყოვლად უსაფუძვლოაო, ამბობს დარვინი.

მართლაც, დედამიწის ზურგზედ შევხვდებით მრავალ იმისთანა ერთი მეორეზედ დაშორებულ ქვეყანას, როგორც, მაგალითად, ევროპის და ავსტრალიის ზოგიერთი ადგილებია, რომელთა მდებარეობის გარემოებანი ერთმანეთს ძლიერ წააგავს, მაგრამ მაინც დიდი განსხვავებაა იქაურ ცხოველთა შორის. ევროპიდგან გადაყვანილი ზოგიერთი გვარი ცხოველი ძლიერ ადვილად გამრავლდა ავსტრალიაში, ესევე ითქმის მცენარეთა შესახებაც.

მაშასადამე, სჩანს, რომ ბუნების ვითარებანი არ წარმოადგენს დამაბრკოლებელს მიზეზს ამა თუ იმ გვარ ცხოველის, ან მცენარის გაჩენისას.

აქედგან ის შეგვიძლიან დავასკვნათ, რომ შეუძლებელია გაჩენა ერთგვარის ცხოველისა რამდენსამე სხვა-და-სხვა ადგილას ერთი-მეორის დამოუკიდებლად.

ყოველი მოდგმა, ჯიში თავდაპირველად უნდა გაჩენილიყო ერთს რომელსამე განსაკუთრებულ ადგილას დედამიწაზედ, შემდეგ-კი, როცა ჯიშის წარმომადგენელთა რიცხვი გამრავლდებოდა, წინანდელი ადგილი იმდენად საკმარისი აღარ იქნებოდა, რომ ყველასათვის საზრდო მიეცა, ამიტომ ცხოველნი იძულებულნი იყვნენ საცხოვრებლად და საზრდოს მოსაპოვებლად სხვა ადგილი მოეძებნათ. ამგვარად მოხდა ცხოველთა სხვა-და-სხვა ჯიშის გავრცელება დედამიწაზედ.

ცხოველთა გარდასახლება თავის ძველ ადგილიდგან ახალზედ შესაძლოა მხოლოდ მაშინ, როდესაც გზაზედ რაიმე დამაბრკოლებელი მიზეზი ხელს არ უშლის ამ გვარ დამაბრკოლებელ მიზეზად განსაკუთრებით ოთხ-ფეხ ცხოველთათვის უნდა ჩაითვალოს წყალი. ამიტომ იშვიათად შეხვდება ადამიანი ერთგვარ ცხოველს ორ იმისთანა ადგილას დედამიწის ზურგზედ, რომლებიც ერთი-მეორისაგან ზღვით, ან ოკეანით არიან მოწყვეტილნი.

არამც თუ ზღვა, ან ოკეანე ხელს უშლის ცხოველთა გავრცელებას დედამიწაზედ, არამედ ხანდახან მდინარეებიც-კი შეადგენს ამ გვარ დამაბრკოლებელ მიზეზს. მაგალითად, მდინარე ამაზონის ერთ ნაპირზედ შეხვდებით იმ გვარ მაიმუნის ჯიშს, რომლის მსგავსი მეორე ნაპირზედ სრულიად არ მოიპოვება. ამაზონის მდინარის გარდა, ჩვენ შეგვიძლიან დავასახელოთ სხვა ამ გვარი დიდი მდინარენი, რომელთა ნაპირებს მიაღწია-რა ზოგიერთ გვარმა ცხოველმა, ვერ შესძლო მდინარეებზედ გასვლა და შესწყვიტა თავის მსვლელობა.

თუმცა ეს ასეა, მაგრამ ზოგიერთი ისეთი მაგალითები გვაქვს, რომელიც თითქოს უარ-ჰყოფს ჩვენს ზემოდ წარმოთქმულ აზრს: ავიღოთ, მაგალითად, ბრიტანიის კუნძულები (ინგლისი) და ევროპა; თუმცა ორივე ერთი-მეორისაგან წყლით არის დაშორებული, მაგრამ ამისდა მიუხედავად ორგანვე ბევრი ერთგვარი ცხოველია, ისეთნი ცხოველნი, რომლებსაც არავითარი ღონისძიება არა ჰქონდათ გადასულიყვნენ ევროპიდგან ბრიტანიის კუნძულებზედ (ინგლისში), რადგან მათ შუა წყალი არის გასავლელი.

ამ გვარ მაგალითების ასახსნელად უნდა მივმართოთ გეოლოგიას: ჩვენმა დედამიწამ დიდი ცვლილებანი გამოიარა; იქ, სადაც დღეს ზღვაა, შეიძლება ერთ დროს მიწა იყო.

ედვარდ ფორბსი დაბეჯითებით გვარწმუნებს, რომ ძლიერ დიდი ხანი არ არის მას აქეთ, რაც ეხლანდელი ევროპის კუნძულები შეერთებული იყო ევროპასთანაო.

ზოგიერთის მეცნიერის აზრით, არ არის თითქმის არც ერთი კუნძული, რომელიც შეერთებული არა ყოფილიყო ერთ დროს ხმელეთთან. დარვინი ასეთს აზრს არ ეთანხმება და უკიდურესად სთვლის, მაგრამ ამასთან იმასაც ამბობს, რომ ოდესმე ყოფილა ისეთი კუნძულები, რომლებიც მხოლოდ შემდეგ ჩაძირულა წყალშიო. ამ გვარი ჩაძირული კუნძულები უახლოებდნენ დანარჩენ ხმელეთის იმ კუნძულებს, რომლებიც დღეს დარჩენილაო. ზოგიერთი დღევანდელი კუნძულები ხმელეთის ნაწილს შეადგენდა და მხოლოდ შემდეგ დააშორა წყალმა და კუნძულებათ აქციაო.

აი, ამ გვარი ახსნა უნდა მივიღოთ, როდესაც შევეხებით ბრიტანიის კუნძულებს (ინგლისს) და ევროპას: ერთ დროს ორივენი ერთ შეერთებულს ხმელეთს შეადგენდა და მხოლოდ შემდეგ დაშორდა ერთმანეთს, ამიტომ საკვირველი არა არის რა, როდესაც დღეს ვხედავთ ერთგვარ ცხოველთ ევროპასა და ინგლისში.

თუმცა წყალი ცხოველთა უმეტეს ნაწილისათვის ღრმა დამაბრკოლებელ მიზეზს წარმოადგენს, მაგრამ მოხდება ხოლმე, რომ სხვა-და-სხვა შემთხვევა ჰშველის ამ დაბრკოლების აცილებას.

ჯერ პირველად ის გარემოება უნდა მოვიხსენიოთ, რომ თვით ადამიანი ხელს უწყობს ცხოველთა გარდასახლებას ერთის ადგილიდგან მეორეზედ, რასაკვირველია, იმ გვარ ცხოველთ, რომლებიც მისთვის სასარგებლონი არიან. დღეს ამერიკაში ისეთის ჯიშის ფრინველებს შეხვდებით, რომლებიც წინად, ვიდრე ევროპიელები არ გადასახლდებოდნენ იქ, სრულებით არ მოიპოვებოდა. ევროპიელებმა გადასახლებისათანავე თან გადიყვანეს ამერიკაში მრავალი სხვა-და-სხვა ცხოველი, რომლებიც შემდეგ ძლიერ ადვილად მოშენდნენ და გამრავლდნენ. ესე-

გააწმენდინოს გოლოვინის პროსპექტი, კოლიუჩი ბალკა დ სხ.. გამგეობამ დაადგინა ეზოების და ქუჩების სასინჯად დაწმენდა უნდა მოხდეს პოლიცმეისტრის განკარგულებით; საკმარისი იქმნება საცდელად ქუჩების გაწმენდა სამჯერ ზედი-ზედ. საცდელად ქუჩების გაწმენდა დაიწყოს მაშინ, როდესაც ამას აცნობებს გამგეობას პოლიცმეისტერი; ქუჩები დ ეზოები უნდა დაიწმინდოს ქალაქის ხარჯით, რადგანაც ძნელია ამაზედ სახლის პატრონებთან შეთანხმება, განსაკუთრებულ გარდასახადის დადგენის დროს პირობების გამოსარკვევად. ხელმძღვანელად ეზოებისა და ქუჩების საცდელად წმენდის დროს დაინიშნენ ქალაქის ტეხნიკოსები: გოლოვინის პროსპექტისა ტეხნიკოსი ზურაბიანცი, კოლიუჩი ბალკის ტეხ. ალაჯანოვი, მალაკნის ქუჩისა ტეხ. ქურდიანი და ლაზარევის ქუჩისა არხიტექ. ახნაზაროვი, ხოლო ყველა ამათ უფროს ხელმძღვანელად ქალაქის ინჟინერის თანამდებობის აღმასრულებელი მელიქ ბეგლიაროვი.

*** გუშინ-წინ, 1 ნოემბერს, ქალაქის მოურავმა ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებლის ი. ნ. სვეჩინისაგან შემდეგი მოწერილობა მიიღო: გასულ წლის 16 ოქტომბერს გთხოვეთ, მოწყალეო ხელმწიფევ, გეღონათ რამე, რათა საბჭოში ქალაქის საქმეთა გადაწყვეტა არ დაბრკოლდეს ხოლმე ხმოსანთა დაუსწრებლობისა გამო. ქალაქის საქმეები ეხლაც ვერ მიდის რიგზედ, რადგანაც ხმოსანთა საჭირო რიცხვი ეხლაც არ ესწრება კრებებს; ამავე მიზეზით 30 ოქტომბერს სრულიად არ შესდგა კრება. ამისათვის გთხოვთ მტკიცედ აღასრულოთ 16 ოქტომბრის ჩემი მოწერილობა, საჭიროების დროს მიჰმართოთ ქალაქის დებულების მე-60 და 61 მუხლებს და იქ აღნიშნული საშუალებანი იხმაროთ ხმოსანთა წინააღმდეგათ. ამასთან ბ-ნი გუბერნატორი სთხოვს მოურავს შეატყობინოს იმათი გვარი და სახელი, რომელნიც სულ არ ესწრებიან კრებებს.

*** გუშინ, 1 ნოემბერს, დილის 11 საათზედ ქალაქის სამხედრო საკრებულო დარბაზში დააფიცეს ის ყმაწვილი კაცები, რომელნიც წელს ჯარში გაჰყავთ. დაფიცების შემდეგ ყველანი **6** ნოემბრამდე დაითხოვეს.

*** ტფილისის ობოლთა სასამართლოს თავმჯდომარეს უთხოვნია ქალაქის გამგეობისათვის იშუამდგომლოს საბჭოს წინაშე იმის შესახებ, რომ ამ სასამართლოში დაწესებულ იქმნას თავმჯდომარის ამხანაგის თანამდებობა.

*** წელს საუფლისწულო უწყების ჩაქვის მამულში ჩაის კარგ მოსავალს მოელიან. ჰფიქრობენ, რომ 150 ფუთი ჩაი მოვა; შარშან-კი მხოლოდ $19\frac{1}{2}$ ფუთი იყო. ჩაქვის ჩაი სულ სასტორგუეფის ფირმას უყიდნია, გირვანქა 1 მ. 50 კაპეიკად.

*** რედაქციამ მიიღო მე 6 № ფრანგულის ჟურნალის „Le Caucase Illustre“ სი. ამ ნომერში მოთავსებულია: სურათი დიდის მთავრის ნიკოლოოზ მიხეილის ძისა, აღწ. „კახეთი. სიღნაღი და თელავი“, ქართული აწდაზები, „კალოობა“ —სცენა ქართველთა ცხოვრებიდგან კახეთში, თარგმ. მაკაროვისა, სურათები-ტიპები კახელებისა და „კავკასიელნი მთიულნი: ფშაველები, თუშები, ხევსურები“, რომელსაც სურათები აქვს ჩართული თუშ-ფშავ ხევსურთა ქალებისა და კაცებისა.

*** ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორმა შუამდგომლობა აღძრა მთავრობის წინაშე ამ სასწავლებლის გაფართოვების შესახებ.

*** როგორც გაზ. „ნორ-დარს“ შემახიდგან ატყობინებენ, შემახელების შუამდგომლობა შემახაში რკინის გზის შტოს გაყვანის შესახებ მთავრობას არ შეუწყნარებია.

*** ტფილისის გუბერნატორს მოუთხოვნია ქალაქის მოურავისათვის ერთის თვის განმავლობაში გადაწყვეტილ იქმნას მომავალ 1901 წლის ზაფხულს ქალაქის ხმოსანთა არჩევანები როგორ მოხდება: ერთს ადგილას, თუ ქალაქის ყველა ნაწილში ცალკე.

*** ავჭალის ცხენის რკინის გზის კონცესიონერებმა ქალაქის გამგეობას ვაგონების მიმოსვლის ახალი წესი წარუდგინეს დასამტკიცებლად, რომელიც შემოღებულ იქმნა 1 ნოემბრიდგან. პირველი ვაგონი ხიდის ქუჩიდგან დილის 6 საათ. 50 წამზედ გადის, ხოლო სადგურიდგან დილის 6 საათ. 35 წამზედ გამოდის. უკანასკნელი ვაგონი ხიდის ქუჩიდგან ღამის 11 საათზედ გადის.

*** ძმ. ნიკიტინების ცირკი გუშინ-წინ ტფილისში ჩამოვიდა და ამ დღეებში წარმოდგენების მართვას შეუდგება.

*** ფოსტა-ტელეგრაფის უწყებამ ქალაქ სიღნაღს ადგილობრივ ფოსტა-ტელეგრაფის შესანახად დარჩენილი გადასახადი მოსთხოვა, სულ 1620 მან. რადგანაც ქალაქს ამ ჟამად ეს თანხა არა აქვს, სიღნაღის ქალაქის მამასახლისი სთხოვს ტფილისის გუბერნატორის თანამდებობის აღმასრულებელს: 1) პოლიციის საშუალებით აიძულონ სიღნაღის სახლის პატრონები, მათზედ დარჩენილი გადასახადი დროით წარადგინონ, და 2) მიეცეს ქალაქ სიღნაღს ადგილობრივ საპატიმროს გასათბობლად და გასანათებლად დანიშნული ფული სულ 800 მანეთი.

*** სამშაბათს, 31 ოქტომბერს, საღამოს 9 საათზედ, გოლოვინის პროსპექტზედ, სობრანიის პირდაპირ ერთი ეტლი, რომლის №-ი აქამდე ვერ შეიტყეს, დაეტაკა ტფილისის მოქალაქეს ნიკოლოოზ კონსტანტინეს ძეს მინასოვს და ისე ძლიერ დაზავა, რომ გრძნობა-დაკარგული გაჰგზავნეს მიხეილის სამკურნალოში. მკურნალების შემოწმებით მინასოვის სიცოცხლე საშიშ მდგომარეობაშია.

*** პოლიციის მე-10 ნაწილში მცხოვრებმა მიხეილ ფავლენიშვილმა განაცხადა პოლიციაში, რომ კვირას, 29 ოქტომბერს, ვიღაც ბოროტ-გამზრახველმა მომპარა ჩემის სახლიდგან სხვა-და-სხვა ნივთები სულ 15 მან. ქურდები აღმოჩნდნენ მცირე-წლოვანი სერგო კაზაკევიჩი და სპარსეთის ქვეშევრდომი ჯიბრაილ ბენიამინოვი, რომელნიც ნივთებიანად დააპატიმრეს და პასუხის გებაში მისცეს.

*** აზ. გრიგოლ ჩიქოვანი, რომელსაც ბრალად ედება ობერ-კონდუქტორის ილია ღოღობერიძისაგან 609 მან. მოპარვა და რომელიც აქამდე პოლიციას ემალებოდა, ოთხშაბათს, 1 ნოემბერს, პოლიციამ დააპატიმრა კუკიაში და გადასცა ქალაქის მეორე ნაწილის გამომძიებელს.

## ქართული ხელოვნური მხატვრობა

წარსულში რაც-კი ქართველს ერს თავისუფლად ამოუსუნთქავს და შინაურ თუ გარეულ მტრებს მოუსვენებიათ, ერთს წამსაც არ შეუჩერებია თავისი შემოქმედებითი ძალა ხელოვნებისა. მხატვრობა, ქანდაკება და ხუროთ-მოძღვრება, ეს სამნი დანი ხელოვნებისა მუდამ ხელი ხელს გაყრილნი მიდიოდნენ. ის ნაშთები ხელოვნებისა, რომელნიც დროთა ბრუნვას გადარჩნენ, ცხადად ჰმოწმობენ მისს ძლიერს მიმდევრობასა და გავრცელებას საქართველოში. მხოლოდ წინსვლა და განვითარება ხელოვნებისა ისე დიდი უფილა, რომ ხშირად უმაღლეს წერტილამდე მიუღწევია.

ჩვენმა ძველმა ხუროთ-მოძღვრებამ უკვე მოიპოვა სახელი „ქართულის სტილის“ თავისის ორიგინალობითა და გემოვნებით.

ქანდაკების ნაშთები კი უფრო ნაკლებია და უფერული, თუ სახეში უოველ მხრივს ქანდაკებასვე, მაგალითად, სტატუას ვიქონიებთ. მომეტებულად შეგხვდებათ ან ბარელიეფი *) ან გორელიეფი **), მაგრამ, თითქოს, აქ ამის შესავსებლად თავს იჩენს ორნამენტაცია (ჩუქურთმა), ქანდაკობის ერთი დარგი, რომელიც ჯერ მცირეთაგან ცნობილიც უკვე აკვირვებს მცოდნეთ აუარებელ ღირსებითა და მომავალში ერთს უპირველესს ადგილს დაიჭერს მსოფლიო ორნამენტაციაში.

რაც შეეხება მხატვრობას, იგი მრავალია დარჩენილი და მრავალგვარი, მომეტებული კი ეკკლესიის კედლებზედ. მხოლოდ კერძო მხატვრობა, ნახატი ხელოვნის ატელიეში მისის სულის მოძრაობის დასაკმაყოფილებლად ძალიან ცოტაა. ეს საკვირველიც არ არის, რადგანაც მტრის შემოსევის დროს მისი გადატანა და დაცვა ძნელი იყო. სადა „ვეფხის ტყაოსანი“ და „ვისრამიანი“ რამდენიმე ეგზემპლიარი ძლივს და გადარჩა, იქ რაღა გადარჩებოდა ერთ-პირი სურათისა უზარ-მაზარ დაირასვით გადაკრულ ტილოზედ?

ეკკლესიის კედლებზედ მრავალი ნახატები-კი, თუნდა თამარ მეფე, კონსტანტინე და სხვანი მხატვრულს ღირსებას არ არიან მოკლებულნი, მაგრამ უფრო ისტორიული და არქეოლოგიური მნიშვნელობა აქვთ, ვიდრე წმინდა ხელოვნური. მაგრამ ხატვა, როგორც ხელოვნება, მისულა თუ არა თავისს უმაღლეს წერტილამდის საქართველოში, ამისი ნიმუშები არავის უჩვენებია, თუმცა მისი საუცხოვო ნიმუშები თვალწინა გვაქვს.

მცხეთაში, სვეტი-ცხოვლის ტაძარში ჩრდილოეთის მხარეს კედელზედა ჰკიდია მთელი სერია სურათებისა ქრისტეს ცხოვრებიდგან. თითოს მათგანს სიმაღლე $2\frac{3}{4}$ არშ. და სიგანე 2 არშინამდე ექმნება. ეს იმ ხატებთაგანი და იმ სურათებთაგანი არ არის, რომელნიც მომეტებულად ეკკლესიის მოსართავადა და შესავსებლად იხატებოდნენ. პირიქით, ეს ისეთი დიადი ქმნილებაა, რომლისთვისაც განსაკუთრებულს ტაძრებს აშენებენ, რომ შიგ დაიცვან იგინი, როგორც ძვირფასი განძი.

ზოგიერთი ამ სურათებიდგან ისეთის ღრმა აზრით, ისეთის ხელოვნებითა და სინამდვილით არის დახატული, რომ მცოდნე განცვიფრებაში მოჰყავს. გარდა იმისა, რომ მისი შემქნელი მხატვარი დიდი ხელოვნურის კალმის პატრონი უოფილა, სურათის უოველ მოქმედ პირის მდგომარეობაში შესულა და მათი გრძნობა და გამომეტყველება სისრულით გადმოუცია. მაგალითად, სურათს „ჯვარ-ცმა“-ში ქრისტე ისეთს ტანჯვას წარმოადგენს წამებისას, რომ სიბრალულით გული გეტანჯება; მისნი მწამებელნი ისეთის ულმობლობით სცე-

*) ბარელიეფი ბრტყლად ნაკეთები ქანდაკებაა რომელსამე საგანზედ, რომელიც ოდნავ არის გამობურთული.

**) გორელიეფი სამ მხრივ გამობურთული ქანდაკებაა, რომელიც მეოთხე მხრით მიყრდომილია რომელსამე საგანზედა.

---

ვე ითქმის ავსტრალიის შესახებაც.

უფრო ხშირად-კი სულ უბრალო შემთხვევის წყალობით ჰმოძრაობენ ცხოველნი და გადადიან ერთი ადგილიდგან მეორეზედ. მაგალითად, ცივ ჩრდილოეთ ქვეყნებში ხშირად უნახავთ მოგზაურთ, რომ ზღვაში ქარს მიაქვს უზარ-მაზარი, ნაპირიდგან მოგლეჯილი ყინული, რომელზედაც შემთხვევით მოჰყოლიან თეთრი დათვები; ქარს ამ გვარი ყინული დიდ მანძილზედ მიაქვს და ხან რომელსამე მოშორებულ კუნძულს მიახლის ხოლმე, რომლის ნაპირზედ გადადიან ის პირუტყვნი, რომლებიც ამ ყინულმა თან მოიყოლა, — დათვი იქმნება, თუ სხვა ცხოველი, სულ ერთია. იქ, სადაც ამ გვარად ახალი ცხოველი გადადის, თუ რომ იქაური გარემოება ხელს უწყობს, იწყებს გამრავლებას და ამით ამ ადგილას ახალი ჯიში ემატება.

ცხელს ქვეყნებში ადიდებული მდინარე ხშირად მოჰგლეჯს ხოლმე დიდ ხეებს ძირიანად და თან მიაქვს; მოხდება, რომ ხეები გადაებმის ერთმანეთს შტოებით და ამ გვარად წარმოსდგება ტივი ახლად მოგლეჯილ ხეებისა. ხეებს შუა ცალიერი ადგილი მიწით ივსება და თანდათან ეს ტივი იმდენად დიდდება, რომ ზედ სხვა-და სხვა მცენარეც-კი ამოდის და ხან თვით ფრინველნი და პირუტყვნიც დაბინავდებიან ხოლმე.

ქარს ამგვარი მოძრავი „კუნძული“ მდინარიდგან თან და თან ზღვისკენ მიაქვს, იალქნობას ხის ტოტები უწევს. ამ გვარი მოძრავი „კუნძული“ ბევრი უნახავთ ამაზონის, მისსისიპის, ორინოკოსი და სხვა დიდ მდინარეებში. ადმირალმა სმიტმა ფილიპინის კუნძულების ახლო, ოკეანეში, ნახა ამგვარი მოძრავი „კუნძული“, რომელიც ნამდვილი კუნძული ეგონა, იმდენად დიდი იყო.

როდესაც ამგვარს „კუნძულს“ ქარი მიუახლოვებს ნაპირს, მაშინ ზედ მყოფნი პირუტყვნი მარტო ამ ახალ ადგილზედ გადადიან და ამ საშუალებით ხდება გარდასახლება და გამრავლება ახალის ჯიშის ცხოველებისა.

იმ ქვეყნებში, სადაც ზამთრობით მდინარენი, ტბები და სრუტე იყინება, ცხოველთ საშუალება ეძლევათ ახალ ადგილზედ გადასვლისა; მაგალითად, ზამთრობით, როცა ზღვას გაჰყინავს ხოლმე, ციმბირი უერთდება სახალინის კუნძულს; ხშირად უნახავთ სახალინზედ ციმბირიდგან გადმოსული ვეფხვები და ირმები.

ყველა ცხოველთა შორის ფრინველთ უფრო მეტი საშუალება აქვთ გადასვლისა ერთი ადგილიდგან მეორეზე; ფრინველთ შეუძლიანთ ფრენით გაიარონ ძლიერ დიდი მანძილი; განსაკუთრებით მაშინ, როცა ქარი ჰქრის, ფრინველი დღეში ორასს ვერსზედ მეტს გადიფრენს. არის ისეთის ჯიშის ფრინველი, რომელიც გასაოცარ სისწრაფით ჰფრინავს; მთელი დღე ისე დაჰფრინავს, რომ არ დაიღლება. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ფრინველთ ადვილად შეუძლიანთ ზღვის გადავლა. თუმცა ფრინველთ, როგორც ვხედავთ, არა უშლის რა ადგილის გამოცვლას, მაგრამ ამისდა მიუხედავად ვამჩნევთ, რომ უფროს ერთ შემთხვევაში ყოველი ფრინველთა მოდგმა ერთს რომელსამე ადგილას სცხოვრობს, იმ ადგილას, რომლის ბუნებრივი ვითარება ხელს უწყობს მის გამრავლებას და უფრო მეტს საზრდოს აძლევს.

საუკეთესო დამამტკიცებელ საბუთად იმისა, რომ ფრინველი არ დარჩება იქ, სადაც დასვენება მოუხდება ხოლმე ფრენის დროს, შეგვიძლიან დავასახელოთ ის ფრინველნი, რომლებიც ჩვენგან საზამთროდ თბილს ქვეყნებში მიდიან: ზაფხულს ჩვენში ატარებენ, ზამთრის პირი მოატანს თუ არა, სამხრეთისკენ გაემგზავრებიან. რამდენ სხვა-და-სხვა ქვეყანას გადივლიან, ვიდრე თავიანთ ბინას მიაღწევენ, მაგრამ არც ერთი მხარე ისე ვერ მოჰხიბლავს ხოლმე გზაში, რომ თავისი სამშობლო ადგილი დაავიწყონ! დადგება თუ არა გაზაფხული, ხელ-მეორედ დაბრუნდებიან ხოლმე ჩვენკენ.

ის, რაც სულიერ არსებათა შესახებ ვთქვით, მცენარეთაც შეეხება, რომელთა ერთის ადგილიდგან მეორეზედ გადატანა მხოლოდ თესლის წყალობით ხდება. აქაც წყალს თვალსაჩინო ადგილი უჭირავს: წყლის საშუალებით შესაძლოა მცენარეთა გავრცელება დედა-მიწაზედ. დარვინის გამოკვლევიდგან სჩანს, რომ მცენარეთა თესლი დიდხანს სძლებს წყალში უვნებლად. 87 სხვა-და-სხვა გვარ თესლიდგან 64-მ ოც-და-რვა დღის განმავლობაში ზღვის წყალში გასძლო უვნებლად; ამათში ისეთი თესლიც იყო, რომელმაც 137 დღე გასძლო. ზღვის ზვირთებს ხშირად გადააქვთ მცენარეთა თესლი ერთის ნაპირის ადგილიდგან მეორეზედ. ამ გვარადვე მოქმედობს მდინარე წყალიც.

ფრინველთ განავალში ადამიანი ძლიერ ხშირად ჰპოვებს სხვა-და-სხვა გვარ მოუნელებელ თესლს. დარვინმა ერთ პატარა ფრინველის განავალში 12 სხვა-და-სხვა გვარი თესლი ჰპოვა, რომელიც დათესვის შემდეგ ამოვიდა. აი ამიტომ ფრინველთაც დიდი ადგილი უჭირავთ მცენარეთა გავრცელებაში დედა მიწაზედ.

ნატალის მცხოვრებთა აზრითო, ამბობს დარვინი, როდესაც კალია უცხო ქვეყნიდგან მათკენ გამოივლის და გადივლის იმათ მინდვრებს, შემდეგ იქ ცუდი და მავნე მცენარენი ამოდიანო, რაც უნდა მიეწეროს კალიის დარჩენილ განავალს, რომელშიაც სხვა-და-სხვა გვარი თესლიაო.

დიდი ხანია შენიშნულია მეცნიერთა მიერ, რომ ერთგვარი ცხოველნი და მცენარენი სხვა-და-სხვა, ერთი-მეორისაგან დიდად დაშორებულ, მთის წვეროებზედ არიან ხოლმე. არის ისეთი ცხოველი, რომელსაც შეხვდებით ალპის თოვლიან ქედზედ, პირინეის მთებზედ და ჩრდილოეთ პოლიალურ ევროპაში. ამგვარმა თითქო გაუგებარმა მოვლენამ მეცნიერ გმელინს ის აფიქრებინა, რომ ერთგვარი ცხოველი და მცენარე უნდა გაჩენილიყო რამდენსამე სხვა-და-სხვა ადგილას ერთი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მენ გვერსა, რომ მაყურებელი ჯავრით ივსება *).

სურათი „ჯვრიდგან გადმოხსნა ქრისტესი“ ყველაზედ საუკეთესოა ამ სურათებში. თვითონ სხეული ქრისტესი, როგორც მდებარეობით, ისე ფერადითა და ნახატობით სისრულეა ხელოვნებისა. რაც შეეხება ანატომიურ აგებულობის ცოდნას, გამოჩენილ რომაელების მხატვარს მიქელ ანჯელოს არ ჩამოურჩება.

აი ეს ის სურათია, რომლისა გამოც თამამად შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ ჩვენს ძველს მხატვრობას ხელოვნების უმაღლეს წერტილამდის მიუღწევია.

ამნაირი სრული მხატვრობა მთელ ევროპაში ქრისტეს დაბადების აქეთ არ იყო მე-XV საუკუნემდის. მხოლოდ შემდეგ განვითარდა იგი პირველად იტალიაში ლეონარდო დე-ვინჩისა, ტიციანისა, მიქელ ანჯელოსა და რაფაელის წყალობით.

უნდა შევნიშნოთ, რომ ყველა სურათები ერთნაირის სიკეთით არ არის დახატული — ზოგი თუ გულ-დადებითა და გარკვევით არის, ზოგი — გაკვრითა და ზედა-პირადაა, თუმცა ხასიათი ყველას ერთნაირი აქვს.

ჯერ ნამდვილად არ ვიცით რომელს ნეტარს ხანს ეკუთნის ან ვინ იყო ამისი დამხატველი, მაგრამ ის-კი ეჭვს გარეშეა, რომ დამხატველი ქართველი ყოფილა: ესა სჩანს სურათის ხასიათიდგანა და ქართულის წარწერებიდგან. რაც-კი ჩვენს ძველს მხატვრობაში მინახავს, ჯერ ამისთანა ხელოვნური მხატვრობა არ შემხვედრია. ძველს მხატვრობაში ეს სურათი ისეთსავე ადგილს დაიჭერს, როგორც „ვეფხის ტყაოსანს“ უჭირავს ჩვენს ძველს მწერლობაში. მაგრამ საკვირველია ერთი, — როგორ გადარჩა ეს სურათები მტრის ხელს, მაშინ როცა სხვებს კედელზედაც-კი არ აყენებდნენ და მახვილით სჩიჩქნიდნენ. ეტყობა მტრის შემოსევის დროს სამალავებში ჰქონიათ დაცული.

ჩვენს წინაპრებს, როგორც უქმნიათ დიადი ხელოვნება, ისე მისი დაფასება და დაცვაცა სცოდნიათ.

*) ვგონებ, ეს არის მიზეზი, რომ ერთს მწვალებელს ურიას ფანატიკოს ქრისტიანისაგან თვალები აქვს დათხრილი.

დაბოლოს მსურს ქართველების ყურადღება იმას მივაქციო, რომ ამ სურათებს დიდი გაფრთხილება უნდა: როგორც მესმის, სვეტი-ცხოველში წვეთი ჩამოდენილა და, რადგანაც ეს სურათები სწორედ იმ მხარეს ეკიდა, საითაც ტაძარი იყო დაზიანებული, საშიშოა წვიმის დვარმა არ გაახროს, ან კიდევ არ გადასცვალონ სხვა ახლებზე, რის მაგალითიც იქვე უკვე იყო **).

ა. მრევლიშვილი

ქ. პარიჟი.

**) სვეტი-ცხოველში, როგორც სამეფო ტაძარში, მეფისა და დედოფლისათვის ცალკე პატარა სამლოცველოები იყო როდოსის მარმარილოს სვეტებით. რადგანაც სვეტები დაზიანებული იყო, ამიტომ ვიღაც უცხო ოსტატს აჩუქეს, რომელმაც სამაგიეროდ უბრალო ქვის ბოძები შეუდგა.

## საქართველოს საეკლესიო მუზეუმი.

საქართველოს ეპარქიის სამღვდელოთა საეკლესიო მუზეუმი თან და თან იზრდება და წარმატებაში მიდის. მალე მოვესწრობით იმ დროს, როცა ჩვენი თავმოსაწონებელი მუზეუმი თაითა სანახავ[?] სჩვენებელი შეიქმნება განათლებულის კაცობრიობისათვის. ყოველ დღე ემატება არა ერთი დ ორი შესანიშნავი ხელნაწერი, ანუ ისტორიული-არქეოლოგიური ნივთი. განსვენებულის დ. ბაქრაძის შემდეგ თითქმის რვა წელიწადი ექინა მუზეუმის საქმეს და სულ ორი ელიწადია მართლა ზრდა იწყო მუზეუმმა. ამ დღეებში ტფილისის დარიის მონასტრიდგან ყოვლად სამღვდელო კირიონის განკარგულებით მოტანილ იქმნა მუზეუმისათვის ტყავზედ დიდი ხელნაწერი ათონის მთაზედ ნათარგმნი და შედგენილი სვინაქსარი წმ. გიორგი მთაწმინდელის მიერ; ხელნაწერი ფრიად შესანიშნავია საეკლესიო ისტორიის მეცნიერებისათვის. აქ ჩართულია მრავალ, დღემდე უცნობ წმიდათა სახელნი და მათი ცხოვრება; ქართველ წმიდათაგან ჩართულია ილარიონ ქართველის, წმ. ეფთვიმეს და მისის მამის იოანეს დღესასწაული. სვინაქსარს დართული აქვს ტიბიკონური მაჩვენებელი და წარწერანი თვით გიორგი მთაწმინდელისა. ამ ცოტა ხანში დავბეჭდავთ ვრცელს აღწერას სვინაქსარისას. წინად სვინაქსარი შიომღვიმის ლავრის საკუთრება ყოფილა.

მღ. [?] კარბელაშვილი.

# ნარკვევი

(ჟურნალ-გაზეთებიდგან)

როგორც ვუწყით, ცეცხლისაგან უბედურება ყველაზედ ხშირად თეატრს ეწვევა ხოლმე. ვინ იცის რამდენი თეატრი გადამწვარა და რამდენი ხალხი დაღუპულა ამისაგან. მკითხველებს ეხსომებათ, რომ, სხვათა შორის, შარშან პარიჟის ერთ საუკეთესო და კარგად მოწყობილ თეატრსაც წაეკიდა ცეცხლი, რომლის დროსაც ახალგაზდა მსახიობი ქალი დაიღუპა. ბევრი ხალხი იღუპება განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თეატრს ცეცხლი თვით წარმოდგენის დროს ეკიდება. კარგა ხანია სპეციალისტები ისეთ საშუალების გამოგონებას შეუდგნენ, რომლის წყალობითაც შესაძლებელი იყოს ხალხის გადარჩენა, თუ ვინიცობაა თეატრს ცეცხლი წაეკიდა. უბედურებას უმეტეს შემთხვევაში ის არეულ-დარეულობა და ჰყლეტა იწვევს, რომელიც თეატრში ჩნდება ცეცხლის წაკიდების დროს. ხოლო ამის მიზეზი კიდევ ის არის, რომ ერთბაშად და საჩქაროდ ვერ ახერხებენ თეატრის ყველა კარების გაღებას და ხალხის გამოშვებას. ეხლა ერთ ჩვენ თანამემამულეს, თავ. ა. ი. ჯავახიშვილს გამოუგონია მანქანა, რომლის შემწეობითაც შეიძლება თავიდგან აცდენილ იქმნას უბედურება, თეატრში ცეცხლის გაჩენის დროს მომხდარი. პეტერბურგში ახალი თეატრი აუშენებიათ „ხალხის სიფხიზლისათვის მზრუნველ“ საზოგადოებას და თავ. ჯავახიშვილის გამოგონებაც გაუმართავს ამ თეატრში. აი რასა სწერს ამ გამოგონების შესახებ რუსული გაზეთი „Новости“:

„ეს ახალი გამოგონება, რომლის მოდელიც გამომგონმა, თავ. ა. ი. ჯავახიშვილმა, პირველად თეატრის ამშენებელ კომისიას წარუდგინა, მეტად მარტივი რამ არის. თეატრის ყველა კარს უნდა გაუკეთდეს განსაკუთრებული მანქანა; ეს მანქანები მოქმედებაში მოჰყავს ელექტრონის ტოკს (თეატრები უმეტეს ნაწილად ელექტრონითაა განათებული, ამიტომ ტოკი ხელთავე აქვთ]. მანქანები შეერთებულია ელექტრონის გამტარებლებით, რომელთაც თავები ერთ საშუალო ადგილას აქვთ მოყრილი, სადაც ყოველთვის წარმოდგენის დროს მორიგი უნდა იდგეს. როდესაც თეატრში ცეცხლი ან სხვა რამ უბედურება გაჩნდება, მორიგი ხელს დააჭერს ელექტრონის პატარა ღილს და თეატრის ყველა კარები ერთბაშად გაიღება. რათა მორიგმა დროზედ შეატყოს, რომ თეატრში უბედურებაა, თვალ-საჩინო ადგილებში ელექტრონისავე ღილებია გამართული და ყველას შეუძლიან ხელი დააჭიროს და აცნობოს მორიგს, რომ უბედურებააო. ვიმეორებთ, ეს ახალი გამოგონება მეტად მარტივი რამ არის. ამ დღეებში მანქანები გამოსცადეს და დარწმუნდნენ, რომ თავ. ჯავახიშვილის გამოგონება დიდს სარგებლობას მოუტანს თეატრს. გამოცდას დაესწრნენ ამშენებელი კომისია და საზოგადოების უავგუსტოესი თავმჯდომარე.“

# უცხოეთი

**საფრანგეთი.** საფრანგეთის პარლამენტის სხდომები მრავალის ხალხის თანდასწრებით დაიწყო. გაჰხსნა თუ არა კრება, პარლამენტის თავმჯდომარემ დეშანელმა წაიკითხა ყველა ის კითხვები, რომლის წარდგენასაც მთავრობის წინაშე სხვა და სხვა დეპუტატები აპირებდნენ; ორი ამათგანი წარსული წლიდგან იყო დარჩენილი, რადგანაც თავისს დროზედ განხილვა არ ეღირსათ. მინისტრ პრეზიდენტმა ვალდეკ-რუსსომ განაცხადა, რომ მთავრობის აზრით სჯობს პირველად ვეზეილის კითხვა განვიხილოთ, რომელიც კაბინეთის საზოგადო პოლიტიკის გაცნობას თხოულობს და პალატაც დასთანხმდა. ვაზეილი დაეკითხა მთავრობას, — სოციალურ კანონ-მდებლობაში რა ცვლილების შეტანა გაქვთ განზრახულიო. ვაზეილის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა სოციალისტთა ვივიანმა, რომლის მოკლე შინაარსიც შემდეგი იყო:

დრო დადგა, ყველა დასმა თავისი შეხედულებანი და პროგრამმა გამოაქვეყნოსო. ამ ბოლოს დროს პოლიტიკური მდგომარეობა ძირითადად შეიცვალა და დამყარდა. საბჭოს პრეზიდენტის უმთავრესს მოვალეობას რესპუბლიკის დაწესებულებათა დაცვა შეადგენს. დასთა შორის გამწვავებული ბრძოლაა და ბრძოლა პირადობისა დასრულდა; ამიერიდგან იდეათა ბრძოლა იწყება; რესპუბლიკის მფარველობის ხანამ უკვე განვლო; დაიწყო ხანა მისი უკეთ მოწყობისა (მარცხნივ ტაშის ცემა ისმის).

იდეათა ბრძოლა, უპირველეს ყოვლისა, იმითი უნდა გამოიხატოს, რომ სახელმწიფომ ეკლესიის გავლენას ბრძოლა უნდა გამოუცხადოს, რაც უკვე აღნიშნა მინისტრ-პრეზიდენტმა თავის სიტყვაში, რომელიც ტულუზაში წარმოსთქვა. მთავრობას განზრახვა აქვს ეკკლესიის გავლენის წინააღმდეგ ეგრედ წოდებული სკოლების კანონი წარმოადგინოს. ეს კანონი ჯერ კიდევ შემუშავებული არ არის, მაგრამ ჩვენ უნდა ამის შესახებ ჩვენი აზრი გამოვთქვათ. ამ ჟამად კათოლიკებისაგან ეგრედ წოდებული პირველ ყოფილ ცოდვის დოგმატი უნდა მოვიშველიოთ. ჩვენ ყოველის ფერში მზად ვართ, ოღონდ მომავალი საფრთხე ავიცილოთ.

მთავრობამ უნდა დასაჯოს ყველა ისინი, ვინც რომ თავისს შვილებს სხვა-და-სხვა კონგრეგაციების სკოლებში ჰზრდის. გარდა ამისა, მთავრობამ უნდა ხელი შეახოს კონგრეგაციების ისეთს ქონებასაც-კი, მაგალითად, უძრავს ქონებას, რომლის ჩამორთმევაც შეუძლებელია, — უამისოდ კონგრეგაციების წინააღმდეგ ბრძოლა უქმი იქმნება, აზრს ვერ მივაღწევთ.

მთავრობამვე უნდა შესცვალოს სამხედრო სასამართლოების კანონი. სოციალისტები დღევანდელ კაბინეთის მიერ წარმოდგენილ ცვლილებების მომხრენი არიან, მაგრამ უფლებას მაინც იტოვებენ, სადაც საჭირო იქმნება შეავსონ მისი პროგრამმა; აზრად გვაქვს აგრეთვე ვიცოდეთ სავალდებულო შეთქმულობის შესახებ მთავრობა რა აზრისაა.

როდესაც-კი რესპუბლიკანური მთავრობა რეაქციის წინააღმდეგ ბრძოლას გამოაცხადებს, სოციალისტები მუდამ მხარში ამოვუდგებით. მაგრამ, როგორც კი მაში არსებულ სახელმწიფო წესწყობილების შერყევისა გაჰქრება, ჩვენ ისევ ჩვენთვის გავდგებით და ჩვენს დასსა და ჩვენს იდეებს ვემსახურებითო.

სოციალისტთა მეორე დეპუტატმა ვალიანმა განაცხადა, რომ მუშათა დასმა არც სამინისტროსა და არც მისს წინააღმდეგს პოლიტიკას მხარი არ უნდა დაუჭიროს და სრულიად განცალკევებული უნდა იყვეს და მხოლოდ თავისს პროგრამას იცავდესო. ამის შემდეგ ტრიბუნაზედ ავიდა მინისტრ-პრეზიდენტი ვალდეკ-რუსსო და წარმოსთქვა:

„ჩვენი პირველი მოვალეობაა ხარჯთაღრიცხვა განვიხილოთ, რომელსაც სასმელების გარდასახადთა ცვლილება მოჰყვება; თუ რომ ამ ცვლილებას მოვახდენთ, მაშინ შეგვეძლება ეგრედ წოდებული სააქციზო გარდასახადი გავაუქმოთ. რაც შეეხება პოლიტიკას, მთავრობას გარდაწყვეტილი აქვს დაუყოვნებლივ ასსოციაციათა, კანონმდებლობაში ცვლილება შეიტანოს, რადგანაც ზოგიერთი მათგანი სახელმწიფოსათვის საშიშ დაწესებულებას მოადგენს. საეკონომიო [...] მთავრობას მეტი ყურა[...] წოდებულს მუშათა საპენსიო [...]კასა აქვს მიქცეული, რომლის პროექ[...] საჭიროა ადრე და მალე იქმნეს განხილული. მაგრამ, თუ რომ მთავრობა ამ ჟამად დასახელებულს კანონ პროექტებს მეტს ყურადღებას აქცევს, ეს კიდევ იმას არ ამტკიცებს, რომ მაგალითად: სასკოლო პროექტი, სამხედრო გემების ცვლილება, შემოსავლის მიხედვითი გარდასახადი და სხ. კაბინეტის პროგრამიდგან გამორიცხულნი იყვნენ. არა. იგინი მხოლოდ თავისს რიგს უცდიან და განხილულ იქმნებიან, როგორც უსაჭიროეს კანონპროექტების საქმე გარდასწყდება... აღნიშნულ პროექტების გარდა, მალე პალატას წარედგინება ეგრედ წოდებული სამედიატორო სამართლის პროექტი, რომლითაც მუშათა და მწარმოებელთა შორის აღძრული უთანხმოება უნდა გადასწყდეს ხოლმეო“ (პალატაში დიდი მოძრაობაა).

მინისტრ-პრეზიდენტის შემდეგ რიბომ დაიწყო ლაპარაკი. რიბომ სთქვა, რომ მედიატორეთა სავალდებულო სასამართლოს შესახებ კაბინეტის თავმჯდომარის მიერ გამოთქმული აზრი ვაჭრობის მინისტრის მილიერანის აზრს ეწინააღმდეგებაო. მილიერანმა სთქვა, რომ შეთქმულობა სავალდებულოაო (მარჯვნივ და შუა გულიდგან ტაშის ცემა ისმის). რიბოს შემდეგ ტრიბუნაზედ მილიერანი ავიდა:

„როდესაც სამინისტროში შემოსვლა მთხოვეს, არც ვალდეკ-რუსსოსა და არც იმისს ამხანაგებს არ მოუთხოვნიათ, რომ ჩემს რწმენაზედ უარი განმეცხადებინა და მეც არ მიღალატნია მისთვის. დიახ, მომხრე ვარ იმ პროექტისა, რომ მუშებს საერთო ხმის ჩამოტარებით შეეძლოთ შეთქმულობის შესახებ აზრის გამოთქმა. ბ-ნი რიბო პროექტს ჯერ არ გასცნობია და მისი წინააღმდეგია; მთავრობას ამ პროექტის პალატაში წარდგენა განზრახული აქვს და მეც პალატასა და ქვეყანას მივანდობ მისს შეწყნარებასა“ (მარცხნივ ტაშს სცემენ).

## ჟურნალ-გაზეთებიდგან

ამოკრებილი ამბები

უცნაური ამბავი შემთხვევია ზღვაში, ვანკუვერის მახლობლად, ერთ გემს. გემი სინგაპურიდგან გასულა. სხვათა შორის გემით 28 მაიმუნიც მიჰყავნდათ თურმე. მაიმუნები დიდ გალიაში ყოფილან დამწყვდეულნი და გზაში მოუწადინიათ გალიის ერთის ადგილიდგან მეორეზედ გადატანა. ამ გადატანის დროს გალიას ძირი გაჰვარდნია და ვიდრე ძირის გამაგრებას მოასწრებდნენ, მაიმუნები გაცვივნულან და გემს მოსდებიან. ზოგი სამზარეულოში შესულა, ზოგი კიდევ სურსათის საწყობებში, და ლაზათიანად „ქეიფს“ შესდგომიან. საწყობიდგან ვერაფრით ვერ გაუგდიათ; მაიმუნები ძალზედ იკბინებოდნენ და ახლოარავის არ იკარებდნენ. საწყალი ზღვაოსანნი შიმშილით იხოცებოდნენ თურმე, რად-

მეორის დამოუკიდებლადაო, მაგრამ მეცნიერმა აგასიცმა ეს სულ სხვაგვარად განმარტა. დღეს უტყუარი საბუთი გვაქვს, რომ ეხლანდელმა ევროპამ ისეთი ცივი ხანა გამოიარა, როგორიც დღეს მხოლოდ პოლიალურს ქვეყნებშია. ჰავა ევროპისა მას შემდეგ კი ისე გამოიცვალა, რომ ჩრდილოეთ იტალიაში, სადაც ოდესღაც გაუდნობელ ყინულით იყო შებოჭილი მიწა, დღეს ვაზია გაშენებული.

როცა ევროპაში ამ ცივმა ხანამ დაიწყო დადგომა, ჩრდილოეთ პოლიალურ ქვეყნების ცხოველები ნელნელა წამოვიდნენ სამხრეთისკენ, სადაც წინანდელმა სითბომ სიცივესა და ყინვას დაუთმო ადგილი; ხოლო ის ცხოველნი, რომლებიც სცხოვრობდნენ და სითბოს იყვნენ შეჩვეულნი, ადგილი დაუთმეს პოლიარულ ქვეყნებიდგან მოსულ ცხოველებს და უფრო სამხრეთ ქვეყნებისკენ გასწიეს, სადაც ჯერ კიდევ სითბო იყო. მთები ეხლა დაიფარა თოვლითა და გაუდნობელ ყინულით, რის გამოც იქაურნი პირუტყვნი იძულებულნი გახდნენ ძირს ჩამოსულიყვნენ თბილ ადგილების მოსაძებნად.

ერთის სიტყვით, დადგა ისეთი დრო, რომ მთელი შუაგული ევროპისა, ალპები და ისპანიის ნაწილი, პოლიალურ ქვეყნებს დაემსგავსა, ესევე უნდა ყოფილიყო ამერიკაშიაც.

როდესაც ხელ-მეორედ დათბა ევროპაში, წინანდელმა სითბომ ყინული გაადნო და ცივი ჰაერი გაათბო, ჩრდილოეთ ქვეყნიდგან მოსული ცხოველნი იძულებულნი შეიქმნენ უკან დაბრუნებულიყვნენ ჩრდილოეთისკენ; იმათ-კი, რომლებიც სულ სამხრეთისკენ იყვნენ წასულნი თბილ ქვეყნების მოსაძებნად, ეხლა თანდა-თან უკან იწყეს დაბრუნება, როდესაც სითბო დადგა, ჯერ დნობა დაიწყო თოვლმა და ყინულმა მთების ძირას, ასე რომ ზოგიერთმა ცხოველმა, პოლიალურ ქვეყნებიდგან მოსულმა მთაზედ იწყო ასვლა, და რამდენადაც მაღლა ადიოდა, იმდენად სიცივე და ყინვა ჰმატულობდა, ასე რომ იმ დროს, როდესაც ცივის ქვეყნის ცხოველნი სამშობლოსკენ დაბრუნდნენ, მცირე მათი ნაწილი თოვლით მოსილს მთების წვეროებს შერჩა. ამიტომ საკვირველი არ არის, რომ ჩრდილოეთ ამერიკის მთებზედ და ალპის თოვლითა და ყინულით მოფენილ წვერზედ ერთ-გვარნი ცხოველნი არიან.

ექიმი ბადრიძე

გან მთელ სურსათს მაიმუნები დაჰპატრონებიან. მხოლოდ რამდენისამე დღის შემდეგ ძლივს მოუხერხებიათ ონავარ მაიმუნების დაჭერა და დამწყვდევა. როდესაც გემი დანიშნულ ქალაქს მისულა, უფროსსა და ზღვაოსანთ საავადმყოფოში მოუხდათ თურმე წასვლა, რადგანაც თითქმის ყველანი დაკბენილნი ყოფილან აჯანყებულ მაიმუნებისაგან.

* * *

შვეიცარიის ქალაქ ბერნში, როგორც იქაური გაზეთები გადმოგვცემენ, ერთ რესტორანის პატრონს ახალი ნიხრი დაუწესებია იმათთვის, ვინც რესტორანში ღვინოსა სვამს. ეხლა ამ რესტორანში საათობით შეიძლება თურმე ღვინის დალევა: საათში 50 სანტიმი ღირს, გადაიხდით ამ ფულსა და ერთის საათის განმავლობაში რამდენიც გნებავთ, იმდენ ღვინოს მიირთმევთ. შვეიცარიაში რა მოგახსენოთ და ჩვენში-კი რესტორანის პატრონმა რომ ასეთი წესი შემოიღოს, უეჭველად გაკოტრდება.

* * *

როგორც რუსული გაზეთები გადმოგვცემენ, ერთ დაბაში სცხოვრობს თურმე ერთი ებრაელი სასწაულთ-მომქმედი. ეს ებრაელი 2000 მანეთად ყველასა ჰპირდება, სამოთხეში ადგილს გიშოვითო. ამასთან ებრაელი ხელ-წერილსაც აძლევს ყველას, ვინც სამოთხეში ყოფნას მოისურვებს და 2000 მანეთს შეიტანს. ხელ-წერილში ასეთ სტრიქონებსაც წაიკითხავთ: „პირობას ვდებ, ერთის წლის განმავლობაში გულ მხურვალედ ვილოცო ამისა და ამის სულისათვის, რათა იგი გამოვგლიჯო ხელიდგან ეშმაკებსა და ქაჯებს და სამოთხეში მოვუპოვო ადგილიო“. მოხერხებულ ებრაელს ამ გვარის ხელ-წერილებით უკვე კარგი ქონება შეუძენია.

* * *

მელიტოპოლში ამას წინად ადგილობრივ მოსამართლეს საყურადღებო საქმე განუხილავს. ბერდიანის მაზრის ერობის უფროსი სომოვი უჩიოდა სახალხო სკოლის მასწავლებელს ივანე გორბიკოს შეურაცხებიბის მიყენებას. მასწავლებელს გუბერნატორთან ქაღალდი გაუგზავნია და სომოვისათვის უჩივლია, რომ სომოვმა საზოგადო ფულით მკითხავი დაიბარა და სოფლის საზოგადოების რწმუნებულთა თანადასწრებით აკითხვინაო. ამას წინად საზოგადოების 6000 მანეთი დაკარგულა. სომოვს მკითხავი დაუბარებია, რათა გაეგო ვინ მოიპარა ე'ს საზოგადო ფული. მასწავლებელი სწერდა თავის საჩივარში, რომ ერობის უფროსი, თვით განათლებული კაცი, უსწავლელ ხალხში ცრუ-მორწმუნეობასავრცელებსო. საქმის გარჩევის დროს სასამართლოში მართლაც გამორკვეულა, რომ სომოვს საზოგადო ფულით მკითხავისათვის უკითხვინებია. რასაკვირველია, მოსამართლეს მას წავლებელი გაუმართლებია.

* * *

როგორც საერო განათლების სამინისტროს მიერ შეკრებილ ცნობებიდგანა სჩანს, 1899 წლის პირველ იანვრისათვის საერო განათლების სამინისტროს ექვემდებარებოდა სულ 37,046 პირველ დაწყებითი სკოლა, სადაც 84,121 მასწავლებელი და 2,650,058 მოსწავლეიყო. ამავე დროს სხვა უწყებათ ექვემდებარებოდა 41,651 პირველ-დაწყებითი სკოლა, სადაც 70,531 მასწავლებელი და 1,553,188 მოსწავლე იყო. სულ-კი მთელს იმპერიაში იყო 78,699 პირველ-დაწყებითი სკოლა, 153,652 მასწავლებელი და 4,293,246 მოსწავლე.

# დეპეშა

(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან)

1 ნოემბერი

**პეტერბურგი.** „მთავრობის მოამბეში“ დაბეჭდილია: „ხელმწიფე იმპერატორს ინფლუენცია, რომელიც 26 ოქტომბერს შეჰხვდა და სნეულების შესაბამი მსვლელობა ჰქონდა ოფლის დენით, 31 ოქტომბრიდგან სახადათ გადაექცა. ავადმყოფობის შესახებ ცნობები ყოველ დღე დაიბეჭდება.

მისის იმპერატორებითის უდიდებულესობის ჯანმრთელობის ბიულეტენი: 1 ნოემბერი, დილის 10 საათ. ხელმწიფე იმპერატორმა ღამე კარგად გაატარა. თვით გრძნობა კარგი აქვს. 38,7° სიცხე აქვს, პულსი — 72. თავის ტკივილს არა ჰგრძნობს; ღონეზედ საკმაოდ კარგად არის. ავადმყოფობა ასეა გამორკვეული: მუცლის სახადია, ჯერ ჯეროვნით კაგად მიმდინარე. ლეიბ-ხირურგი გირში. მკურნალი ტიხონოვი.

**ტვერი.** ვოლგა გაიყინა.

**ასტრახანი.** ყველა გემებმა შესწყვიტეს მიმოსვლა.

**პეკინი.** როგორცა სჩანს, ჩინეთი სახელმწიფოთა მიერ წარდგენილს ყველა პირობებს მიიღებს გარდა იმისა, რომ ზოგიერთი პრინცები და მოხელენი იქმნენ დასჯილნი. ეს შეუძლებელია, ვიდრე სასახლე ამ მოხელეთა ხელშიაო.

**შანხაი.** აქ სურვილს აცხადებენ, რომ სამშვიდობო პირობებში შეტანილი იყოს, რომ შანხაის მიდამოებიდგან ჩინეთის ჯარი გაიყვანონ.

ტიან-ძინში დიდად დაინტერესებულნი არიან იმითი, თუ ამ ჟამად იაპონიის ჯარები სად იმყოფება. იაპონიის ჯარები ჯერ ჩინეთიდგან არ გაუყვანიათ, მაგრამ არ იციან ტიანძინიდგანა და პეკინიდგან სად გაჰქრნენ. რობერტ გარტსა და უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენლებსა აქვთ მინდობილი დაადგინონ ჩინეთმა რა საზღაური უნდა გაიღოს და როგორ უნდა გადაიხადოს იგი. როგორც იმპერატორის ბრძანებიდგანა სჩანს, ჩრდილო ჩინეთის დიდი მხედრობის გენერალისიმუსად იუნლუს მაგიერ ლიხუნ-ჩანგი დაუნიშნიათ. ადგილობრივს გაზეთებში დაბეჭდილია, რომ ლიუჩინიმ ჩჟანჩჟინდუნს წინადადება მისცა, რომ ერთად გაუწიონ წინაალმდეგობა, თუ რომ ექსპედიცია ხანკოუდგან სიანფუში დააპირებს წასვლას.

**ვაშინგტონი.** კონჯერმა სასტიკი ბრძანება მიიღო, რომ არავითარი ვალდებულობა არ იკისროს და დღევანდელს პირობებზედ არ დასთანხმდეს. შეერთებული შტატები უთუოდ მალე გამოუგზავნიან საზღაურის შესახებ თავისს პირობებს. გარეშე საქმეთა სამინისტრომ უკვე წარადგინა ამერიკის სამშვიდობო პირობები; ეს პირობები შედარებით პეკინში დადგენილ პირობებთან, გაცილებით შეღავათიანია. მოკავშირეთა მოქმედებას შეერთებული შტატები არ ამართლებენ.

**გონკონგი.** როგორც კანტონიდგან იუწყებიან, ფუნჩჟოუში აფიშები გამოუკრავთ, რომლებითაც მცხოვრებთ ქრისტეანეთა წინაალმდეგ აღელვებენ. ქრისტეანები ზღვის ეშმაკებად არიან გამოყვანილნი, რომლებიც ამ რამდენისამე ათის წლის წინად შეესივნენ კანტონს, შეადგინეს გეგმა, რომ ჩინელთა მამული დაეპყრათ და მრავალს ჩინელთაგანს თავისი თვალთ მაქცობა ასწავლეს. ფუჩჟოუს პატიოსანნი მცხოვრებნი ეშმაკების საშიშ შხამის წინაალმდეგ დიდად განრისხებულნი არიან, ჰსურთ ადგილობრივს ქრისტეანებს ეკკლესიები და სახლები დაუნგრიონ და თვით უცხო ეკკლესიის უფროსი შეიპყრან. ვუნჩჟუნდინის მოწოდებებში ეკკლესიების დასანგრევადა და ეკკლესიის მოძღვრის მოსაკლავად 20 ნოემბერია დანიშნული.

**შანხაი.** სხვა-და-სხვა გაზეთებს აცნობებენ ხსი-ნიდგან, ვითომ ჩინეთის იმპერატორს განზრახვა ჰქონდეს პეკინში მყოფ ჩინელ და უცხო სახელმწიფოთა მოხელეთათვის ეცნობებინა, რომ დიდი ხანია პეკინში დავბრუნდებოდი, მაგრამ ნებას არ დამყვნენ ისინი, ვინც გარს მახვევიანო. ამასთანავე იუწყებიან გაზეთები, რომ იმპერატრიცამ ბრძანება გასცა იმპერატორის ორი რწმუნებული კაცი სიკვდილით დაესაჯნათ, რადგანაც ამათ უნდა წაეღოთ დეპეშებიო. ტელეგრაფის დირექტორი შენი ამ ცნობებს, როგორც უსაფუძვლოს, სრულიად უარ-ჰყოფს.

**ბერლინი.** საიმპერიო სეიმი სეფე სიტყვით იქმნა გახსნილი, რომელშიც ნათქვამია, რომ ჩინეთის ერი დასავლეთის ცივილიზაციისა და საქრისტიანო კულტურის მშვიდობიანს პიონერების წინაალმდეგ ბოროტების ჩასადენად ფანატიკურმა მტრობამა და შავ-ბნელმა ცრუ-მორწმუნოებამ გაიტაცა, რომელსაც პეკინის სასახლის უსინიდისო კარის-კაცნი აქეზებდნენო. როდესაც მოსალოდნელ უბედურების თავიდგან ასაცილებლად გერმანიის ელჩმა გმირულად თავი გამოიდო, იგი მოკლულ იქმნა. ამ იშვიათის თავდასხმის საწინაალმდეგოდ ყველა ერმა ხმა აიმაღლა, მჭიდროდ შეკავშირდნენ და მათი შვილები მხარდამხარ იბრძოდნენ. ერთ სულ და ერთ გულ სურვილით ყველას მხრივ, რომ წესიერება რაც შეიძლება მალე იქმნეს აღდგენილი და უმთავრესნი დამნაშავენი დასჯილნი, რომ მსოფლიო მშვიდობიანობა ასე აღარსად იქნეს დარღვეული, მთავრობა დიდად გამხნევებულიაო. შემდეგ ამისა, სიტყვაში გამოთქმულია სრული ნდობა, რომ საიმპერიო სეიმი მოულოდნელს ხარჯს, რომელიც სახელმწიფომ უკვე გასწია, დაამტკიცებს და, რომ ყველა უცხო სახელმწიფოებთან კარგი და მეგობრული დამოკიდებულება აქვს გერმანიასა. მწუხარებით იგონებს მეფე ჰუმბერტოს მკვლელობასა და საგულისხმიეროდ უთითებს იმ პატივისცემაზე, რომელიც პარიჟის მსოფლიო გამოფენაზედ გერმანიასა ჰხვდა წილადა. სხვათა შორის, პროექტებიდგან დასახელებულია ის პროექტი, რომლითაც სახელმწიფოს დასაცველად ახალი ღონისძიებანია განზრახული.

**პეტერბურგი.** სათავად აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის მომგებიან გირავნობის ფურცლების შემდეგი სერიები გამოვიდა ტირაჟში: 12649, 247, 15105, 9870, 6983, 1043 11276, 7994, 4957, 12811, 5264, 7990, 13611, 11208, 1585, 10695, 3134, 2236, 8624, 12050, 1791, 5837, 1039, 14819, 3891, 8976, 5643, 11893, 10983, 5812, 12533, 7026, 8518, 4764, 1063, 9192, 9209, 9936, 15405, 8224, 3712, 7963. 10383, 14362, 8729, 11672, 486, 9314, 8829, 11739, 10258, 13700, 3086, 8818, 2889, 12429, 12878, 367, 5219, 289, 138, 6362, 11057, 14150, 5727, 9663, 7157, 2949, 12555, 4299, 1024, 6567, 10633, 5650, 14037, 8449, 12866, 538, 2685, 15917, 12210, 5200, 8333, 14176, 1155, 7090, 10090, 3564, 5043, 11477, 7408, 10862, 11225, 4534, 830, 2853, 3340, 8629, 7337, 11401, 13414, 12383, 3024, 8245, 15154, 3838, 2838, 9380, 2203, 9818, 3363, 6266, 5908, 3262, 11182, 15246, 3758, 3247, 1502, 3401, 2219, 7436, 10915, 10763, 12814, 12666, 14561, 10083, 4869, 158, 8977, 11331, 5110, 2089, 3189, 12715, 13743, 7445, 5931, 62267, 6495, 9165, 13072, 15615, 4937, 4640, 12774, 13648, 7279, 999, 2024, 6905, 13426, 51351, 7045, 13966, 1422, 677, 2009, 7361, 15849, 10249, 14551, 12858, 11924, 9598, 12778, 7938, 8253, 14190, 8253, 14281, 8253, 14197, 341, 15796, 1223, 14010, 4347, 5641, 5755, 5010, 15738, 13279, 11244, 11914, 15099, 3497, 13744, 5458, 665, 12739, 3027, 2345, 7763, 10492, 12764, 2346, 13997, 12001, 14514, 14307, 12058, 12760, 560, 2385, 3894, 649, 11941, 10275, 9724, 4196, 15128, 10906, 5506, 528, 12337, 4611, 949, 2906, 4898, 498, 12070, 5708, 13730, 10875, 1962, 252, 11304, 2819, 1974, 13140, 6992, 1537, 10280, 12046, 2949, 12555, 4299, 10124, 6567, 10633.

2 ნოემბერი

**ბერლინი.** ვალდერზეეს ცნობით, პეკინში მყოფი ჯარი ახლა გუაილაემსა და ლოუენვას შუა თურმეა; ამისათვის შიშ ქვეშ მყოფ კათოლიკეთა დასაცველად ეპისკოპოსის ფავეს თხოვნით, იორკის გრაფის ფონ-ბარტენბერგის უფროსობით ქვეითა რაზმის ერთის ბატალიონისა, ერთის ესკადრონისა, სამთო არტილერიის ერთის წყობისა, ავსტრიელთა ერთის როტისა, ერთის ბატალიონისა და იტალიელთა ერთის ბატარეისაგან ექსპედიცია იქმნა შემდგარი.

**პეკინი.** 29 ოქტომბერს ელჩებს ხანგრძლივი ბჭობა ჰქონდათ, რომლის შემდეგაც საზოგადო კმაყოფილება იქმნა გამოთქმული იმის შესახებ, რაც საქმის გასარიგებლად აქამდის გაკეთდა. როგორც ისმის, მრავალის წვრიმალის შესახებ გარდაწყვეტილი აზრი დაუდგენიათ და აგრეთვე ზოგიერთა საგულისმიერო და საყურადღებო საგნის შესახებ შეთანხმებულან. ამ სხდომაზედ გამოირკვა, რომ უფრო საყურადღებო მუხლების შესახებ შედარებით ნაკლები უთანხმოებაა მათ შორის, ვიდრე მოსალოდნელი იყო; ეს გარემოება იმითი აიხსნება, რომ ელჩებს თავისს სახელმწიფოთაგან გარდაწყვეტილი ინსტრუქციები უკვე მიღებული აქვთ. კონჯერის აზრით, მშვიდობიანობის მორიგების პირობები, რომლებიც ჩინეთის მთავრობას უნდა წარუდგინონ, უფრო ადრე იქმნება მზადა, ვიდრე აქამდე ფიქრობდნენ. ხვალ ელჩებს კიდევ ექნებათ ბჭობა.

**ვაშინგტონი.** როდესაც დაეკითხნენ, სადაც ჯერ არს, შემდეგი განმარტება მოუვიდათ: შეერთებულ შტატების დამოკიდებულების შესახებ ჩინეთთან მოლაპარაკების საქმეში ლონდონის ჟურნალ-გაზეთების აზრი საგნის უცოდინარობითა და დაუკვირვებლობით აიხსნება; მთავრობას სრულიადაც არა აქვს განზრახვა პეკინის საქმეში სახელმწიფოთა შეთანხმებას ხელი შეუშალოს, პირ-იქით კონჯერს მრავალგზის მოუვიდა მთავრობის მოწერილობა, რომ, რაც-კი მისგან დამოკიდებულია, ყოველივე ღონისძიება იხმაროს და საქმის ადრე და მალე გათავებას ხელი შეუწყოს. შეერთებულ შტატების მთავრობამ პაოტინფუს ექსპედიციაში მონაწილეობა არ მიიღო, მაგრამ არც წინაალმდეგობა გაუცხადებია და თავისი აზრი გამოუქვამს სახელმწიფოთათვის, რომ ექსპედიცია თავისს აზრს ვერ მიაღწევსო. შეერთებულ შტატების მთავრობა თანახმაა სახელმწიფოებისა, რომ უმთავრეს დამნაშავეთა სასჯელი მოითხოვონ აგრეთვე საზღაური და თავდებობა, რომ შემდეგში ასეთი ღარა მოხდეს-რა, მაგრამ შტატების, ამთავრობა, დიდის მანძილისა გამო არა კისრულობს გამოიკვლიოს ვინ უფრო დამნაშავეა, თითოეულს შემთხვევაში რა სასჯელი უფრო შესაფერი იქნება და რა გარდაწყვეტილების შესრულება შეიძლება. აღნიშნულ საგნებისა და აგრეთვე საზღაურის შესახებ საკითხის გარდაწყვეტას რწმუნებულთ მიანდობს. შეიძლება შეუმცდარად წარმოვიდგინოთ ადრევე, რომ რწმუნებულნი ჩინეთს ისეთს არას მოსთხოვენ დასაკმაყოფილებლად, რაიცა მათ არ შეეძლებათ.

**ბერლინი.** სტატსკი სოვეტნიკის ფედოროვის გარდა ოფფენბახთან მომხდარ უბედურების დროს ორი სხვაც აღმოჩნდა მოკლული — ვაჭარი მიხაილოვი და მისი დისწული შჩეპინსკი.

# ახალი წიგნი

რედაქციამ მიიღო „ქამუშაძის გაჭირვება“, მოთხრობა დ. კლდიაშვილისა. ეს მოთხრობა ჟურნალ „მოამბე“—ში იბეჭდებოდა. წიგნი 149 გვერდს შეიცავს და ღირს 50 კაპეიკად.

## სასამართლოს ცნობები.

ტფილისის სამოსამართლო პალატაში შემდეგი საქმეებია განსახილველად დანიშნული,

პირველ სისხლის სამართლის დეპარტამენტში:

9 ნოემბერი.

მიხეილ ვარდუაშვილისა, მკვლელობის განზრახვის ჩადენის ბრალი ედება.

არტემ თევზაძისა—მკვლეუობის ჩადენის განზრახვის ბრალი ედება.

იოსებ გაბაძიშვილისა, რომელსაც სასჯ. დებულ. მე-1653 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენის ბრალი ედება.

16 ნოემბერი.

ჴიათურის ყოფილ სამრეწველო ბოქაულის ნესტორ ნიკოლოზის ძის არდიშვილისა, რომელსაც სამსახურში დანაშაულობის ჩადენა ჰბრალდება.

საჩხერის ნაწილის ყოფილ ბოქაულის გაბრიელ ფიცხელაურისა, რომელსაც სამსახურში ჩადენილ დანაშაულობის ბრალი ედება.

დათა კუბეციასი, რომელსაც სასჯ. დებულების მე 1656 მუხ. აღნიშნულ დანაშაულობის ჩადენის ბრალი ედება.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 2 го Ноября 1900 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. დროებითი რედაქტორი ვ. ა. სულხანიშვილი გამომცემელი ილია ჭავჭავაძე